ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №456449

ნომერი: AR192798

თარიღი : 15.11.2012

გაცემის თარიღი : 05.12.2012

გაცნობის თარიღი : 05.12.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი ვარდების რევოლუცია , ნაკვეთი 02/012 ; ქალაქი თბილისი , მოედანი ვარდების რევოლუცია , ჩრდილოეთ მხარეს (ნაკვეთი 02/013); ქალაქი თბილისი , მოედანი ვარდების რევოლუცია , ნაკვეთი 02/010 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მარი ქოქიაშვილი პ/ნ 01023000872
- დ.გურამიშვილის გამზ, 41ა

ორგანიზაცია:
- შპს ახალი ოფისი კოდი: 204559067

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 2012 წლის 15 ნოემბრის #AR192798 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 01/20 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტში ცვლილებას, კერძოდ: მიწის ნაკვეთის შეცვლილი ფართისა და საკადასტრო კოდის დაფიქსირებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის. აქედან გამომდინარე, საჭიროა თავდაპირველად ცვლილება განხორციელდეს 2011 წლის 20 დეკემბრის #1879 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, რისთვისაც განაცხადი უნდა დაარეგისტრიროთ შემდეგი ნომენკლატურით – "მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები"–>"მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება".
